# გუთნის-დედა,

## მამულის-მოვლისათჳს.

ხელი მოსწერება ტფილისში. ი. კერესელიძის სტამბაში. ქუქიას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკჳრაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ხელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთი.

«ცისკარზედ» დამატება.

ნ. 7

ჩუენს «გუთნის-დედის» გაზეთში ვბეჭდავთ თავადის სოლომან ანდრონიკოვის წერილებს, რომელნიცა შეეხებიან მამულის მოვლას, მაგრამ მოვალედკი ვრაცხთ ჩუენს თავს რამდენიმე სიტყუა ვსთქუათ ამ საგანზედ.

ერთი ერთმანეთის მიბაძვა, გამოცდილება და მამულის შემუშავების გასინჯვა მებატონეთა შორის, რომელნიცა თან და თან შორდებიან მამაპაპათ მამულის მოვლის ჩვეულებას, შეადგენენ უპირუელესს საგანს მამულის მოვლის განმშვენიერებისათჳს.

ყოველს ევროპიის განათლებულს მხარეზედ, მამულის მოვლა, რომელიცა თავისის სისრულეში მოუყვანით გაგვაკვირებენ, გონიერად მოსმარებული კაცობრიობითიძალა, რომელიცა მიუცია ბუნებას კაცისათჳს, რათა განფინონ ხალხში მიწის-შემუშავების დაკვლოვნება, ეკანომიური საზოგადოება, მებატონეების შეკრებულება, ჟურნალები, ემსახურებენ ხალხში ცნობის განფენისათჳს. იმ მხარეებზედ, არცა თუ მცირედი განმშვენიერება რომლისამე მოქმედებისა, არ დარჩება, რომ ხალხმა არ შეიტყოს. ყოველი მებატონე ცდილობს აცნობოს ხალხსა ის, რაც რომ შემოიღო ახალი ანუ რაც რამ სისრულე და სარგებლობა მისცა თავისს მამულის მოვლას, რომ გახსნას უადვილესი გზა მამულის პატრონობისათჳს. ჩუენ გვიკვირს, თუ როგორის სისწრაფით განეფინება ხოლმე ახალი შემოღება, როგორის

ხალისით მოჰყვება იმას ახალი მოგონება, რომლსაცა შეუძლიან მოსცეს მამულის მოვლას დიდი სარგებლობა. ჩჳჱნ იქნება გასაოცრად მივაჩნდეს, რომ ახალი განმშვენიერება, რამდენსამე ხანს განეფინება ხალხში, რომლსაცა თან დაჰყვებიან ახალი შემოღებანი, ახალნი ცნობანი როელთამე მცენარებზედ. იქნება გვეჩვენოს გასაოცრად, თუ როგორის სისწრაფით განეფინება მებატონებში ახალი ცნობა. გასაოცარი აქ არა არისრა, უკეთუ თვალ დაკვირვებით გავჩხრეკთ ამ უმთავრეს საგანს. ყოველი ესე კეთდება მალდაუტანებლივ, სურვილით, გონიერულად და საჭიროების მიხედვით. სახალხოთ სადაცა აზრი გამომეტყჳჱლობს, იქ უეჭველად დაიბადება მრთელის საზოგადოების სასარგებლო საგანი.

სახალხოდ აზრის გამომეტყჳჱლება ახლა ჩჳჱნში უფრო საჭიროა, ვიდრე სისრულეში მოყვანილთ მხარეებზედ. ჩჳჱნი მამულის მოვლა, ახლა მხოლოდ გამოდის ახალს გზაზედ, ახლა მხოლოდ იწყობს მამულის განმშვენიერების წინ წაწევასა. ეს იმისთანა საჭიროებაა, რომ უამისოთ ვერცა თუ ერთი ჩამომავლობა წავა წინ. ახლა ყურადღება მივაქციეთ ახალს შემოღებაებსა და შემოვიტანეთ ზოგი ერთი იარაღი ჩჳჱნს მამულებში, იმგვარი იარაღები, რომელნიც იხმარებიან სხჳათა სახელმწიფოში, მოკლეთა ვსთქჳათ ახლა როგორადაც სასიამოვნოთ მივაჩნია ჩჳჱნის მდიდარის მიწების მოვლა, იმ გჳარ სასიამოვნოდ, როგორც ოდესმე მივაჩნდა სამხედროს მუზიკის ხმა. ეს საზოგადოდ ახალის სიცოცხლით განღვიძება, შეიცავს მომავალს წარმატებას. ამასთანავე უნდა ვმეცადინეობდეთ შევასრულოთ ეს განახლება სიმშვიდით, გონიერად, ვერიდებოდეთ ამაოდ ფულის ხარჯვას. ამაოდ შრომის დაკარგჳას. კეთილსინიდისურს, გულითადს დარიგებას, ანუ აღწერას რომლისამე სასარგებლო ცვლილებისას, ანუ ჩჳჱნებას, დარიგებას უნდა მისდევდეს ყოველი მებატონე. ამ გვარნი დამრიგებელნი შეუმსუბუქებენ როგორც ახლანდელთ, ისე შჳლის შჳლთ შრომასა, მოგვცემენ ძალასა, რომლით გაბედვით შევასრულებთ ჩჳჱნგნით დაწყობილს საქმეს.

მკითხჳჱლთა ამ მოკლეს დროში კონია საკმაოდ შენიშნეს, რა მიმართულებითაც გამოდის მამულის მართჳს გაზეთი «ფუთნისდედა»; უეჭველია ყურადღებით წაიკითხავდნენ რამდენთამე გამოცდილთ მებატონეთა სტატიებსა, რომელთშიაც ნაჩჳჱნებნი იყვნენ მცენარეთა სახელები, სახნავ სათეს მიწებსა და სხჳა. რედაქციამ კანონად დასდვა აცნობოს მკითხჳჱლთ იმ გვარნი ცნობანი, რომელნიცა მამულის--მოვლაში გამოცდილნი არიან, ჩჳჱნის ბუნების და ჰაერის მიხედვით.

ჩჳჱნს «ფუთნის დედის» ფურცელში

დაიბეჭდებიან უფრო იმ გუარნი წერილები, რომელნიცა გამოცდილნი იქნებიან. უნდა სწორეთ ვაღვიაროთ, რომ ისე ჰსწავლას არ დაუწყებთ გამოკიდებას, როგორც გამოცდილებასა, გამოცდილება ჰსწავლის საზრდო არის. ჩუჱნ უნდა უფრო გამოცდილებას მივზდიოთ და ეს გამოცდილება თჳთან მოგვცემს ჰსწავლასა.

დარწმუნებულნი ვართ, დიდის გულს-მოდგინებითა სურსთ ჩუჱნ მებატონეებს თავიანთის მამულის-მოვლის წარმატებ, ამასთანავე იმედი გვაქუს ამ ჩუჱნს «გუთნის დედის» გაზეთში მიიღებენ მონაწილეობასა, გვაცნობებენ, რა დაუწყვიათ მამულის შესახებ და რა მოუყვანიათ სისრულეში, რომ იმათს ქუალს შეუდგნენ სხუნიცა. დრო არის ერთი ერთმანეთს ვაცნობოთ ამ გაზეთით ჩუჱნი სასარგებლო აზრი. უკეთუ მებატონეთა, რომელნიცა მეცადინეობენ თავიანთს მამულის უკეთ მოვლასა, მიიღეს მონაწილეობა ჩუჱნს «გუთნის-დედაში» და აცნობეს სახალხოდ თავიანთი დაწყობილობა და ახალი რამ შემოღება, მაშინ უეჭველია მრთელს ჩუჱნს კაცობრიობას მისცემს დიდსა სარგებლობასა.

დასასრულს, ნებას ვაძლევთ ჩუჱნს თავს, ვსთქუათ თ. ხოლომან ანდრონიკოვზედ, რომლისა წერილებმა, რომელნიცა იბეჭდებიან ამ ნუმერში, გამოგვითხოვეს და დაგვაწერინეს ეს წინა-სიტყუაობა. რამდენჯერმე დავმტკბარვართ იმ სიამოვნებით, რომელიცა მიგვიღია თ. ს. ანდრონიკოვის ბაღისაგან, სადაცა დადებულია დიდი შრომა და მეცადინეობა. ქჳანს ალაგას, სადაცა ყოფილა კლდე, მშვენიერად დანანარნარებენ სხუა და სხუა გუარნი ხეხილები, რომელნიცა გადმოურგავს სხუა და სხუა მხარიდგან და ზოგი უცხო ქუეყნებიდგანაც. ჩუჱნ როდესაც ვნახეთ ბაღი, იმისმა სხუა და სხუა გუარმა ხილმა დიდად გაგვაკვირუა. უკეთესი აღარ შეიძლება, რაც იმას მსხალი და ვაშლი უდგას. აჲ, როგორი ხეხილები უნდა გამრავლდნენ ჩუჱნს მხარეზედ. ორანჟერეი, რომელსაცა ჰქჳა ლიმონის ბაღი, ხეივნები, რომლის აქეთ და იქით თუთის ხეები უდგას, თალარები, ყვავილები-ყოველი ესე რაღაც სიამოვნებას აძლევენ მხილველსა. ყოველს ფეხის გადადგმაზედა ჰხედავთ განათლებულს შრომის მოყვარეობას. ჩუჱნ ვთხოვთ თ. ანდრონიკოვს გულავაც არ დაავდოს ჩუჱნი გაზეთი თავისის შეწყობით და მიიღოს მოვალეობითი მონაწილეობა. თ. ს. ანდრონიკოვი მამულის-კეთებაში დიდი მასწავლებელია და სასარგებლო.

## თ. სოლომონ ანდრონიკოვის წერილები.

**1845** წელში, თავი დავანებე გვარდიის სამსახურს ავათმყოფობის მიზეზით და დავსდექი ჩემს სამშობლოს მამულს კახეთში, სადაცა მომიხდა ჭავაცა და არ იყო, რომ შემსუბქება მიეცა ჩემს სნეულებასა. **1848** წელს, ამომარჩია სიღნაღის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოებამ თავისს წინა-მძღვრად, რომლის თანამდებობაში აქამდის ვიმყოფები. **1855** წელში დამნიშნეს ალაზანის კორდონის ლინიის ნაჩალნიკათ, რომლის თანამდებობას ვასრულებდი იქამომდე ვიდრე დაიპყრობდნენ გმირულად კავკაზიის აღმოსავლეთის მხარესა. **1854** წელს, შიშიანობის გამო, დამდეს ვალად დამეცვა სიღნაღის უეზდი მტერთაგან და დამნიშნეს სამხედროს ნაჩალნიკის წოდებით. ჩემის თანამდებობის რიგიანად წარმართისათჳს საჭირო იყო ამამერჩივა ჩემი სადგომისათჳს შუა ალაგი,საიდამაც უფრო მარჯუჳეთ შემძლო მომეხდინა ყოველგან განკარგულება, ამისათჳს ამოვირჩივე ჩემის მეუღლის მამული, რომლის მამულის ახლო იყო ჩემიცა და, რომელიცა გადმოვიდა ჩემს ჴელში სრულებით შეუმუშავებელი. სამსახური არ მაძლევდა ნებას, მომევლო რიგიანად და გამემშვენიერებინა ჩემი მამული, ამისათჳს გამგებლობა მივანდე ერთს ჩემს ერთგულს ყმათაგანსა, მაგრამ მაინც არა ვკარგამდი იმედს, რომ ერთხელაცარი შევუდგებოდი ჩემას მამულების ერთგულად კეთებასა მე ფჳთან.

მდიდარი კახეთის ბუნება, წარსულის დროებიდგან როგორღაც მდაბალს ხარისხზედ ჩამოვიდა: გლეხის შრომა, მჳროფსათ მოპოვებული, მცირის მოსავლით დაიჯილდოება, საჭიროებას მოუმატა, მომატებულის სასმელ-საჭმელის მოხმარება აგრეთვე საჭიროთ შეიქნა,უნდა გამოვვეცჳალა მამა-პაპათ მჳწლებური ჩჳწულება. ადრინდელის დროს სახლკარიანობის ყურადღების მიცემას უგულებელს რომ ჰყოფდნენ, ეს უნდა მოგვეშორებინა ჩჳწნის თავისათჳს და მოგვეთხოვნა მიწისათჳს ის, რისაც მოცემა შეუძლიან. ვიცოდი სხჳა და სხჳა გვარად ყმა მამულის მოვლა და ამ ცოდნასთან მესმოდა, რომ საჭირო იყო მცოდნოდა სხჳა და სხჳა მამულის მოვლის შესახები სავნები. არათუ არ წამეკითხა მამულის მოვლის შესახები წიგნები, თჳთქმის არცკი ვიცოდი, მებატონეს რომლის სათავიდგან უნდა დაეწყო თჳსის მამულის მოვლა. თუ მიმეყო ჴელი ჰსწავლისათჳს და მეკითხა წიგნები, მაშინ მთელი ჩემი სიცოცხლე იმათ მოუნდებოდა და ჩემი ყმა მამული დარჩებოდა მოუვლე-

ლად. ზოგი ერთი მებატონე, იტყჳს, მოდი ამა და ამ საქმეს შეუდგები. ჯერა ვცდი და თუ მარჯუჱთ მომივა შესრულებასაც მივსცემო. ეს აზრი თუ იქონია მებატონემ დიდი უბედურება არის, ამასთანავე უფულობა დიდი დამაბრკოლებელი, მეტადრე უკანასკნელის მიზეზისაგან, ესე იგი უფულობისაგან დიდად მეშინოდა, შევდგომილვიყავ ემა-მამულის წესიერად მოვლასა, მაგრამ დროების მოიხოვილებამ, საკუთარმა სარგებლობამ და გრძნობამ, რომლით მადლობელს ვიყავი საზოგადოებისაგან, რომელსაცა მე ვეკუთვნი და რომელმაცა აღმომირჩივა თავისს წინამძღუარად, თჳთქმის დამძეს რაღაც საღმრთო ვალად, ვყოფილვიყავი სასარგებლო რომლისამე მხრით ჩემის საზოგადოებისათჳს. მდიდარმა და მშუჱნიერმა კახეთის ბუნებამ, რომელიცა დაუსრულებლად უცვალებელია, ჩანერგა, ჩემს გულში მეტის მეტად სიყუარული და აღძრა სურვილი კარგათ მეპატრონა ჩემის ემა-მამულისათჳს. უნდა შევდგომოდი ამ საქმეს. მაგრამ როგორ? მე არა მქონდა ჰსწავლა და ამასთანავე არა მყუანდა კაცი, რომელსაცა ჰსცოდნოდა მაინც რამ და რომელთანაც ერთათ შემძლო გამეყო შრომა. კაცმა თვალები რომ აიხჳოს ჴელსახოცით, ის კაცი გზას როგორღა გააგნებს. მაგრამ, ზოგჯერ მომივიდოდა აზრი და ვეტყოდი ჩემს თავს: თუკი ზოგი ერთს მებატონეს რომელსაცა არ წაუკითხავს წიგნები და არცა ჰყოლია მსწავლული კაცები, თავისი მამულები მოუყვანია სისრულეში, მე რაღა ვარ მეთქი. ეს აზრი როგორღაც სიმხნეს მაძლევდა.

რადგანცა არა მქონდა როგორც ზემოთ ვსთქჳ ჰსწავლის დრო, ამისათჳს უნდა დამეწყო უსწავლელათ, მაგრამ ესკი ვიცოდი, ამ საგნის წიგნი იმას გვირჩევს, დავიწყოთ ის საქმე, რომელსაცა შესწვდება ჩუჱნი ძალა, ამასთავე რამდენიც შესაძლებელია ჰსწავლა და გამოცდილება უნდა ეცადოს კაცი ერთმანერთს დაახლოვოს. უნდა პირუჱლად ამომერჩივა ის, რაც შეეხებოდა ჩემს ღონის-ძიებას. ამისათჳს შეუდექი ჴელოვნებითს ბაღის კეთებასა; მივიღე ერთი და ერთი კანონად. ბრმად არ მივნდობოდი იმ დარიგებას, რაც მამულის მოვლის წიგნებში სწერია და დავმორჩილებულვიყავი იმ ახალს შემოღებულებს, რაცა შემოაქუსთ უცხო ქუჱყნებში. მე იმასა ვსცდილობდი, ზოგი ერთი მიმეღო ის, რაც გამოცდილი იყო ჩუჱნს მხარეზედ ბევრჯელ; ზოგი ერთი აღრინდელი ჩუჱულება დამეგდო იმავე სახით, ზოგი გადამეგდო და ახალი რაც მოუხდებოდა ამ დროს ის შემომეტანა.

მე ვფიქრობდი იმ თავიდგანვე როგორც სარგებლობისათჳს, აგრეთვე თვალის სიამოვნებისათჳს. ამისათჳს საჭირო იყო

ამომერჩია იმ გვარი ალაგი, რომელიც ამ ორთათჳს გამოსადეგი ყოფილიყო, ჰქონოდა სარწყავი, ეს უმთავრესი საჭიროება, რომელიცა ძნელად იშოვება სიღნაღის უეზდში. ბოლოს ამოვარჩივე ერთი ტყიანი და ეკლიანი ალაგი, სადაცა ზოგი ერთს მხარეზედ იყო ქჳანი და ქჳშიანი მიწა, რომელზედაც დავჰდა ბევრი ფული და წავიდა ბევრი დრო. ყოჳელი მკითხჳელი მიხჳედება, გამოუცდელს, უსწავლელს კაცს რამდენჯერ მომიხდებოდა შეცდომა და რამდენჯერ ტყუილად გავწევდი ხარჯსა, რომელიცა აუცილებელი იყო ყოვლის ამ გვარ საქმისათჳს, მაგრამ ერთხელ რა მქონდა კანონად მიღებული, რასაც საქმეს შეუდგებოდი აღარ მოვეშვებოდი, ამ ჩჳეულების მიხედვით, მივსდევდი ჩემს შრომასა დაუბრკოლებლად. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლოს კარგათ მოვიყვანდი. ცოტ-ცოტათ შეუდექი ზოგი ერთის წიგნის კითხვასა, მქონდა ერთი უსწავლელი რუსის მებაღე და სუსტი ბაღის კელოვნების ცოდნაზედ, მე და ის მებაღე წყნარა ვმუშაკობდით და საქმეს ემლეოდა წარმატება. თუმცა ფულიც მიდიოდა, ზოგჯერ შეცდომაც მოგვდიოდა, ტყუილი შრომაცა ზოგ ერთს ალაგსა, მაგრამ მაინც სურვილი მე არაოდეს არ მეკარგებოდა და მოველოდი კეთილს ნაყოფსა.

ვიცოდი ევროპაში ღჳნოს როგორ აკეთებენ, ან როგორ ამრავლებენ და რგამდნენ, ამასთანავე თჳთან კახეთში როგორ აყენებენ კარგს ღჳნოსა. რადგანაც მრთელს კახეთში ყოველი მებატონე ღჳნოს მისდევს, ამისათჳს მეც იმის კჳალს შეუდექი. მრავალ გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ვაზის ჩაყრა და ვაზის მოვლა რომელიცა, დიდის ხნიდგან ჩჳენში მიღებულია, არაოდეს არ უნდა გამოიცჳალოს, თავი ღჳნის მოყვანისათჳს, საჭიროა ვიქონიებდეთ ვენახებში მწჳანა ანუ მჭკნარა საფერავს და რქა წითელა ვაზს. თუ რომ ეს ვაზები დგანან იმ ვენახებში, რომელნიცა მდებარეობენ სიტყჳიანს ალაგს, მაშინ ეჭჳ აღარ არის ღჳნო დადგება უპირჳელესი. მე აგრეთვე დავრწმუნდი, რომ ქჳევრზედ უკეთესი ჭურჭელი არა არის ჩჳენის ღჳნის შენახვისათჳს. არაოდეს არ უნდა გადავაგდოთ ამისი ხმარება, მაგრამ ღჳნის გადაღების ჩჳეულებაკი უნდა შევსცჳალოთ. ამისათჳს აკლდება კახეთის ღჳნოს ღირსება, რომ სრულებით თხლეს ვერ ვაშორებთ, ამის მიზეზით დიდ ხანსაც ვერა სძლებენ. ამ სიტყჳების გასამართლებლად შემოვიტან დოკტორის გალლას სიტყჳებსა: «უკეთუ ღჳნოს თხლეს სრულებით არ მოაშორებთ, მაშინ ის თხლე შიგ აირევა და რამდენნისამე დროს შემდეგ მმრად გადაიქცევა, ამის შემდგომს გარდაიქცევა იმ სახედ,

რომ სასმარადაც სრულებით არ ევარგება. მე და ჩემმა ძმამ, გენერალ ლეიტენანტმა თ. რევაზ ანდრონიკოვმა ვსცადეთ ღვინის გადაღება ქჳევრითგან ქჳევრში იმ სახით, რა სახითაც მიღებულია ძჳელადგანვე კახეთში: ის ღვინო ჩინებულად შევინახეთ, არც დამძარებულა და არცა წამხდარა. ორის წლის უკან მოსკოვის ხელთა-ნაწარმოების (Выставка) გამოფენაში წარვადგინეთ. იქ მოსწონდათ და წარმოგვზავნეს ვერცხლის მედალი. შემდგომს ღვინის გადაღებაზედ ცვლილება არა მოგვიხდენია ამ მიზეზით, რადგანაც კონდოლში სახელმწიფო ვენახი აშენდა და იქ მეცადინეობენ ამის სისრულეში მოყვანასა. შიგ ბაღში ახლა, აშენებული მაქჳს ორ ეტაჟიანი სახლები, რომელსაცა ახვევია სხჳა და სხჳა გჳარი, ჩჳენი თუ უცხო ქჳეყნის ყვავილები და ხეები. ბაღი დაყოფილია ნაწილებად, ყოველს ნაწილში, სხჳა და სხჳა გვარი ხეხილები დგას. ვაზები მიდგას თუთქმის ურიცხვ, **25** ლიმონების ხეები დგანან შიგ მიწაში დახურულს დედამიწის სივრცეზედ, (ორანჟერეი). ჯერ არ არის კიდევ სისრულეში მოყვანილი. უნდა გაკეთდეს სასეირო ალაგები. ღობის ნაცვლად, რომ ყოველ წელს ღობეზედ ხარჯი არ წავიდეს, ჩაყრილია თუთის ხეები ბაღის გარეშემო, ეს ხეები როგორც ბოლოს გამოადგებიან დასაცჳელად, აგრეთვე ფურცლები აბრეშუმის ჭიისათჳს ისმარებიან. უპირჳელესი ვზების აქეთ-იქით, აგრეთვე ჩაყოლებული არიან თუთის ხეები, რომ თავისს დროზედ შეიქნებიან დაღრუბლულ ხეივანებად. ბოსტნეულის ღობის მაგიერად ჩარგულია ეკლოვანი მცენარე, ამის მირში ყოველს ორს საჟენზედ პირჳელი თუთის ხეები დგანან, ამისის ნაყოფისაგან გამოიხდება თავისს დროზედ არაყი. **100** დესიატინა ალაგზედ ჩავყარე აგრეთვე უპირჳელესი თუთის ხეები აბრეშუმის ქარხანისათჳს, ამისათჳს დავიბარე **60** ათასი ტოხნაჩარი (პირჳელი თუთის ხე) და დარგულნი არიან ალაგობრივ. სამუშავოთ რადგანაც საჭიროა საქონელი, ამისათჳს უნდა გაკეთდეს ახალგაზდა საქონლისათჳს დიდი ეზო და გომი, დავიწყე აბრეშუმის გაკეთება მომატებულის სახით და დავადგმევინე აბრეშუმის გამოსახჳევის მაშინები და ფქჳლის საფქვავი.

აქ მოკლეთ აგწერე ჩემი მამულის მოვლა, როგორც კავკასიელმა, დაჭრილმა კაცმა, იმ აზრით, რომ უჩჳენო ზოგი ერთთ ჩემი სურვილი ამ უმთავრესს საგანზედ და თჳთანვე გასაჯონ ამ ჩემი შრომის დაფასება. ზოგი ერთთ ნაყოფთაგანი წარვადგინე განვლილს წელიწადში ტფილისის ხელთა ნაწარმოების გამოფენაში. ჭიის თესლეული კიტაიისა, და ფრანციისა ჯერ არ მიმიღია და ამისათჳს კახეთისა წარვადგინე

რომელიცა შინ არის უფრო სახმარი, მაშასადამე მდაბლის ხარისხისა. ძრიელ ცუდად ზრდიან აქ აბრეშუმის ჭიასა. პარკები ძრიელ სუსტები კვდებიან. აბრეშუმის კეთება ჩუენს მხარეზედ, ღჳნის შემდეგ უნდა იყოს პირველი.

სორგოს თესლი დავიბარე მოსკოვის მამულის მოვლის საზოგადოებისაგან, დავათესვინე და ჩინებულათა გვარობენ, არაყის გამოხდა ჯერ არ მიცდია. დიდად სასარგებლოდ ვხედავ კახეთში სორგო გამრავლდეს და აქედგან არაყი ხადონ. ბაღში მიდგანან სხუა და სხუა გვარი ხეხილები; შემოდგომისა, გაზაფხულისა და ზაფხულისა, ნიმუშები აგრეთვე წარვადგინე ტფილისის გამოფენაში. 1858 წელიწადს მივიღე ორი წლის ნამყენი მსხალი. წარსულს წლებში მოგვცა საკვირველი ნაყოფი. აგრეთვე მივიღე წარსულს წლებში: ვაშლის, ჭერამის, მსხლის, ატმის ნამყენები, (*) ნუშის ხეები, ალუბლების ხეები ბალისა, ალუჩა, ქლიავი და სხუანი და სხუანი. 500 სხუა და სხუა ქუეყნების ხეხილები დამირგავია და 900 ჩუენის მხრის ხეხილები. ლიმონის ხეები ორანჟერეიაში, ხუთნი დგანან ერთს საჟენზენს სიმაღლით, სხუანი არიან ზოგნი სიღრმით ცოტა ნაკლებნი იმათზედ. ორანჟერეიაში ვმეცადინეობ იდგეს 200 ლიმონის ხე. თავისს დროზედ ჩემის ბაღის დაწვლილებით აღწერა იქნება, ამასთანავე დავატანთ დაწვლილებით ყოველთ ხეხილების და მცენარების სიასა, თავისს თჳსების აღწერილობით, რა თჳსებითაც იზრდებიან ჩემს ჴელოვნებითს ბაღში.

მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო სახალხოთ, როგორის შეწირულებით და ხარჯით ჩემი განზრახუა მამულის მოვლის შესახებ მოვიყვანე სისრულეში და რა შეცდომები მომიხდა. გამოველ რა იმ მდგომარეობიდგან რომელს ძლივს შეუძლო ჩემმა ღონის-ძიებამ და აგრეთვე ჩემმა ძალამ, ახლა ვიმედოვნებ, მოვიყვან ყოველს ჩემს განზრახვას ამ ბაღის შესახებ სისრულეში, უმეტესად ახლა, როდესაც მისი ბრწყინვალება კნიაზი კავკასიის ნამესტნიკი ამ უმთავრესს საგანს მიაქცევს დიდსა ყურადღებასა.

---

(*) თ. სოლომან ანდრონიკოვის ბაღი თჳთან ჩუენ გვინახავს ოკტომბრის თუეში, ამ დროს მოგჳწყუეტია ხითუან ატამი, რომელმაცა თავისის სიდიდით და გემოთი გაგვაკჳრუა. რედ.

## რა არის ცეცხლის

ყოველნი ვხედავთ როდესაც უკიდია შეშას და ანთია სანთელი, მაგრამ არვიცითკი ყველამ რათ იწვის და რა არის ცეცხლი? როდესაც იწვის შეშა ანუ ანთია სანთელი ხედავთ რომ ამოდის აპრიალებული ალი და როდესაც უკიდია ნახშირს, აბედს, ღრუბელს, ალი სრულებით არააქვს. ან რისაგან არის რაც უნდა გახურებული იყოს ბუხარი თუ დაუწყვი რამე ფიცხლავ ჩაქრება ამასთანავე ანთებულ რომ დავაფაროთ სტაქანი იმ წამსვე გაქრება, ბუხარში მჭვარტლს რომ მოეკიდოს. ბუხარში მჭვარტლს რომ მოეკიდება, მაშინ იმას სქელს საბანს რათ დავაფარებთ? როდესაც ხმელი ნამჯა იწვს, ამდროს ცოტათი რომ შეუბეროთ, მაშინვე თავის წამალისავით იფეთქებს და ალი აკა. ეს რაღასა ჭნიშნამს?

ბევრი ამ გვარი აზრები მოხვდიან მათვალიერებელს კაცს ჭკუაში, და ახსნისათვს მსწავლულნი დიდი ხანი, შეუდგნენ შეტყობასა; მათთა გამოკვლევათა განცხადეს ახლა ყოველნი. რანიც უწინ გაჩნდნენ გამოსაცნობლათ. შეშის ალით დაწვს მიზეზი ის არი, რომ ამდროს მისგან გამოდის მნთებარე ორთქლი; და როდესაც სრულებით გათავდება მაშინ დარჩება მხოლოდ უალოთ მნთებარე ნახშირი. რადგანაც ღრუბელს განშორებიან მთებარე ორთქლი როდესაცა მპალა და ხრწნილა, ამისათვს იწვს უალოთ. იქნება თქვენა გკითხოთ ეს ორთქლი როგორ დაიწვებოდა? ამაზე გიპასუხებთ, რომ ორთქლნი სხუა და სხუა თვსებისანი არიან: აი ესენი წყლის ორთქლი ხომიცით, რომ არ იწვის და არაყისა და სპირტისა იწვს, რომელისაგანაც, სასმელების სახელებზედ, ჯერ ალი ამხდარა ბუგვილი, რომელთაცა ჭსურდეთ ამაზე მტკიცედ დარწმუნება, რომ არიან იმგუარნი ორთქლნი, ურჩევთ გააკეთონ ეს ადვილი საცდელი.

აიღეთ ერთი ანთებული სასთელი და ისე შეუბერეთ რომ გაქრეს; მაშინ ამ ფილთიდგან აუვა კვამბლის მსგავსად მხრჩოლი, რომელიც გრძლათ ადის მაღლა; ამდროს მიიტანეთ შკვამლს ანუ მხრჩოლსს ახლოს ანთებული მგვარი, ასე რომ ფილთას არ მიაკაროთ, [illegible] წამთ ეს მკვამბლი მსწრაფლ იფეთქებს, აენთება და დაიწყებს წვასა რას აჩუენებს ესა? მას რომე. ის თვთონ სანთელი კიარ იწვს, ეს ის მნთებარე ორთქლია, რომელიც ამოდის ფილთიდგან ამისათვს სანთელი მსწრაფლად ვერ ისთება, ერთი წუთი ალთან ახლოს მიტანვით, და უნდა დრო, ვიდრე ფილთის წვერზედ გამოჭსჩნდება მნთებარე ორთქლი. ჩუენა გსთქვით შეშის ნახშირი უალოთ იწვსო, მაგრამ არიან იმ გვარნი ნახშირნიცა რომელნიც იწვიან ალითა—ეს არის მიწის ნახშირი, ანუ როგორც უწოდებენ ქვს ნახშირსა

ეს არის მიწაში. საიდგანაც ჭსჭრიან, როგორც მადანსა და ხმარობენ ქარხანებში. ალით მის გამოთ იწვის რომ გაუვლნთილია კუპრით, რომელიც გახურების დროს უშვებს მნთებარე ორთქლსა. ერთხელ ანგლიაში ამისაგან დიდი ბუგუა მოხდა მიწაში. რომელიც იწვოდა რამდენსამე წელიწადსა, რადგანაც მისი გაქრობა არას გზით არ შეიძლებოდა. ცხადია რომ მიწის გულში ინახება ზამთარ-ზაფხულს სიმხურვალე, და რამოდენსაც ღრმათ გავთხრით, იმიტომ უფრო თბილი იქმნება. ამისათვს მაწის ნახშირი რომელიც ღრმათ ჭსდევს მიწაში, ხურდება და აზდის მნთებარე ორთქლი, როდესაც კაცნი მოინდომებენ მადარობის მოთხრასა და მიიტანენ იქამდე სადაც სანათლე ველარასწუდება, და სიბნელის გამო აინთებენ სანთელს. მაშინ ეს ორთქლი იფეთქებს და საშინელი ნგრევა და გლეჯა მოხდება ხოლმე. ამითი მრავალნი მუშაკნი დაღუპულან და ახლა სიფრთხილისათვს, ამოსათსრულთ სანთლის მაგიერად, მავთულთაგან გაკეთებული ფანარი ჩააქვსთ, რომლითაც უშიშრად მუშაობენ.

ახლა ჩუენ ვიცით მიზეზი, რომლისაგამო ზოგნი ნივთნი ალით იწვიან და ზოგნი უალოთ. მაგრამ ეს რისაგან არის რომ უჭაეროთ ვერც ერთი ნივთი ვერ იწვის? რათ ეჭირება ჭაერი ყოველს ნივთს წვისათვს? ამისი პასუხისათვს საჭიროა ვიცოდეთ, რა არის ჭაერი? მსწავლული დიდი ხანია ამითა საქმობდნენ და იპოვეს, რომ ჭაერიც ორთქლი არის, მხოლოდ თვსით არ იწვს და თვთონ საჭირო არის სხუა ნივთის დაწვისათვს. ამასთან ორთქლი ორგუარნი არიან, რომელნიც შეერთებულან ზომიერის ნაწილებითა მთელს ქუეყანაზე, ესენი რომ გავყოთ, ერთი მეორეზე ოთხჯერ მეტი აღმოჩნდება. ჭაერი სადაც უნდა გავშინჯოთ: მთაზე, ბარათ, სიცხიანს, თუ

სიგრილიანს ადგილში, ყოველგან ერთგჳარის ორთქლისაგან არის შემდგარი, ასე რომ ხუთს მისხალს ჰაერში, ოთხი მისხალი, ერთგჳარი ორთქლია და ერთი მისხალი მეორე ორთქლია; ანუ ხუთს თუნგს ორთქლში, ოთხი თუნგი (ცოტანაკლები) ერთგჳარი ორთქლია და ერთი დოქი (ცოტათი მეტია) მეორე ორთქლი. ამათ მისცეს სხჳა და სხჳა სახელები. ერთმანეთს შორის გასარჩევითა რომელიც მეტია ჰქჳან აზოტი და რომელიც ნაკლებია ოქსიგენი.(*) რა იწყეს მათთან დახლოება, აღმოჩნდა რომ საწვავათ საჭიროა მხოლოდ ოქსიგენი, თუნდა აზოტი სრულებით არ იყოს ჰაერში, ამიტომ რომ უშლის წჳასა.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ჩუენ ჰაერს უწოდებთ ორთაგან ნახევარ ორთქლათა, მაგრამ როგორც წყლისა და არყის ორთქლთ ვაქცევთ სისველეთა, ისე ამისი არ შეგვიძლიან: ყოველმან იცის, რომ წყლის ორთქლი გაიყინება, და ისევ წყლათ იქცევა აგრეთვე არყისაცა; და ჰაერი ასეთს ცვლილებას არ წარმოადგენს. როგორც უნდა გავაცივოთ, ისეთივე ორთქლი დარჩება როგორიც იყო, ამისთჳს მსწავლებელთა საკუთარს სახელად, უწოდეს ღაზი, ყოველთ ერთსახით მდგომარე ოშხივართა, რომელთაც ძრიელის გრილებით ვერ აყინვებენ. ამისთჳს ჩუენგან განყოფილნი ოშხივარნი, ორნივე ოქსიგენიც და აზოტიც ღაზია და ჰაერი ორღაზ ნარევარის. შემდეგ იპოვეს ბევრ ნაირი ღაზი, ასე რომ ახლა სთვლიან ოცდა რვამდე რომელთაც სხჳა და სხჳა თჳსება აქჳსთ, და მითი ერჩევიან ერთი მეორეთაგან. გარდა ამისა, ბევრი ცდითა და იარაღებით მიახწიეს იქამდისცა რომ ახლა შეუძლიანთ მათი გაწურვა და ქცევაცა სისველეთა, ყინულთა: ასე რომ ახლა ამ ოცდა რვა ღაზთაგან შეიძლება ვაქციოთ სისველეთ ოცდა ხუთი და ამათგან ცხრა სრულებით ყინულათა, მაგრამ ესეც არის, რომ ბევრს ხანს ვერ დარჩება ამ გვარ მდგომარეობაში: როგორც რომ მოჰკვეთთ გრილებსა და წურვასა, მაშინვე ისევ წვეთებათა და წვეთება ოშხივრათ იქცევიან აზოტი და ოქსიგენი, ე. ი. ჰაერი ვერ აქციეს სისველეთა. მაგრამ მსწავლულნი იმედოვნობენ, რომ როდესმე დაიმორჩილებენ: ჰაერისაგან მიიღებენ წვეთებსა და წვეთებისაგან ყინულსა, და ეს დიდი საკვირველება იქმნება მთელის ქუეყანისათჳს.

ზემო თქმულთაგან ის გამოდის. ჰაერი არის საკუთარი ნივთიერება, ანუ არეული ორი ღაზი ერთათ, რომელსაცა აქჳს საკუთარი თჳსება და სიმძიმე (წონა). პატარა სასწორზედ აწონილი ბუშტი ჰაერით მძიმეა, ვიდრე უჰაეროთ ამავე სასწორზედ აწონილი ისივე ბუშტი. ისეთი ნივთიერება რომ ვიპოვნოთ, რომელსაც შეეძლოს ერთი ღაზის შეწურვა ეს ცხადია მეორე დარჩება, და მაშინ გამოჩნდება მათი განსხვავებულება. მ. გ. აიღეთ ერთი ნაჭერი ფოსფორი (რომელთაგანაც აკეთებენ სპიჩკებსა) და დასწვით ერთს შუშის ყალფაღს ქუეშა; ეს ამ დროს შეიწურამს ერთ გჳარს ჰაერსა (ოქსიგენსა), რომელიც მიეკვრება ყალფაღს, გვერდებზედ თოვლის მსგავსად და დარჩება მხოლოთ აზოტი და შიგ რომ ჩაჰყოთ ერთი ანთებული რამ მაშინათვე გაქრება. აბა ჩასვით ამ ყალფაღში ერთი შროშანი ანუ თაგვი, ნახავთ რომ ერთსკი ამოიქშინებს და მაშინვე კიდეც მოკჳდება. აქედგან ცხადად ისმის. რომ ანთებისათჳსა და და სუნთქვისათჳს საჭიროა მხოლდო ის ნაწილი ჰაერისა, რომელსაცა ჰქჳან ოქსიგენი, და მეორე ნაწილი, აზოტი, არ არის საჭირო მათთჳს. მაშ რისათჳს არის ჰაერში აზოტი? ამისათჳს, რომ უზომიეროს ოქსიგენის მოქმედებასა, რადგანაცა ჰაერი მხოლოდ ოქსიგენისაგან რომ ყოფილიყო შემდგარი. დაწვა და სუნთქჳა ძრიელ ფიცხად იქნებოდა, ეს სწორეთ იმას მიემსგავსებოდა, რომ სასმელათ სულ არაყი და სპირტი ყოფილიყო წყლის მაგიერათაცა. მაშინ ხალხნი, პირუტყვნი სულ დამთჳრალნი ივლიდნენ და ჩქარათაც დაიხოცებოდნენ ანთებისაგან. საცდელათ შეჰქმენით წმინდა ოქსიგენი და ჩააგდეთ შიგ რაიმე ფოლადის მავთული ანუ თჳთ ალმასი, სულ ესენი როგორც ჩალა, სწორეთ ისეთის ალით იწჳან, თუმცა ბუნებითს მყოფს ჰაერში ვერას გზით ვერ შეგვიძლიან მათი დაწვა.

აქედგან სჩანს, შეშის დაწჳსათჳს გჳნდა ჰაერი, რადგანაც შიგ არის ოქსიგენი, რომელიც შეადგენს უსაჭიროებასა. ახლა შეშასა და ოქსიგენს, დაწჳს მერე, რაც მოზდის, ამაზედ მოვილაპარაკებთ შემდგომს ნომერში.

---

(*) ოქსიგენი არის ბერძნული სიტყჳა, რომელიც ქართულად ითარგმნება მჟავის მბადი, და რადგანაც ყოველნი ევროპიელნი ხალხნი ამ ბერძნულს სიტყჳას შეუცვლელად ხმარობენ, ამისათჳს მივიღეთ ჩუენს ენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იონჯის მოყვანა.

იონჯა ჰირუწლი საჭმელი ბალახი იყო, რომლისაც მოშენება დაიწყეს მინდვრებზედ, მეტადრე ფრანციაში, იტალიაში და ღერმანიაში არ არის აგრე გახშირებული, რუსეთში სთესენ ამ ბალახს დასავლეთ ღუბერნიებში და კავკაზიაში.

სუფეელა რიგზედ იონჯისა უკეთესია და სასარგებლოა დასათესი იონჯა. ძირი ამა მცენარისა გძელია და მომსხო გარევანი მცერარის დაგვარათ. ტარო იზდება სამ ჩარექამდის. ყვავილი იის ფერია; გასაზდელათ და დასამწიფად საჭიროა სიტფო **905** უფრო მეტიც. **6** ანუ **7** კჳრის შემდგომად ამოსვლისა შეიძლება ჰირუწლად მოთიბვა და მასუკან კიდევ რამდენჯერმე, მხოლოდ უმჯობესია ორჯელ თუ იონჯას აქუს ტფილი ჰაერი (რომელიც რომ საჭიროა) ერთსა და იგივე ალაგსა მოდის კარგი მოსავალი **10-15** წელიწადი. სამი წლის უკან შემდგომად დათესვისა შეიძლება **3-4** მოთიბვა. თითო ნათიბი იქნება **50-200** ფუთი. იონჯისათჳს კარგია ყამირი მიწა კარგი თიხიანი ქჳშა არეული და დამწვარი ნეხვი. მალიან ქჳშიანზედ, ანუ თიხიანზედ, და აგრეთვე ჭაობს ალაგზედ არ მოდის.

მაგრამ კარგი მოსავალი ამ მცენარისა არის უფრო დამოკიდებული ყამირის სიღრმეზედ, რომელთაც რომ თუნდა იყოს სამი ანუ ოთხი ფუტი. და რადგანაც ამ გვარი ყამირი იშჳათია მაშინ მაინც **იმ** გვარი ალაგი უნდა, სადაცა დედა მიწა წყალს არ დაიგუბებს.-მიზეზი რომ იონჯისათჳს საჭიროა ღრმა ყამირი ის არის, რომელ იონჯის ფესვი ჩადის ღრმად და სწორე, **2-5** არშინამდინ და საჭიროც არის სიღრმე ამიტომ რომ იონჯა მხოლოდ ჰირუწლის ხანში გამოიხდების ზემოთის ნაწილით ყამირისა და შემდგომ ქჳწითის ნაწილათა და ამისგამო იონჯის შემდგომ იმავ მიწაზედ იონჯა აღარ მოდის კარგათ და მცენარეკი, რომელთაც რომ არ აქუს გძელი ფესვი მაგ. ჰური და სხ. კარგათ მოდის. სუქანს ყამირზედ იონჯა დაუნეხველათაც კარგათ მოდის, მხოლოდ ახალი ამოსული ღეროები უნდა მოიყაროს თეთრის მიწით. მაგრამ რადგანაცა ამ გვარი ყამირი იშჳათია უფრო ხშირად კარგა დანეხულ მიწაზედ სთესენ და მას უკან რამდენიმე წელიწადი კარგათ მოდის იონჯა. იონჯას სთესენ ანუ შემოდგომას ანუ გაზაფხულს, ანუ მარტო, ანუ ჰურთან, შემოდგომით დათესვა უმჯობესია გაზაფხულისაზედ, იმიტომ რომ მომავალს ზაფხულსავე არის ამის მოსავალი, მაგრამ

უფრო ხშირად სთესენ გაზაფხულს, ამიტომ რომ შემოდგომის ნათესს ხნული უნდა ზაფხულში დაემზადოს და ყოველ ამ დროს ამზადებს ხნულებს, შემოდგომის პურის სათესავად და მეორეთაც იონჯას უნდება ბევრი ნეხვ; რომლისაც მოგროვება ზამთარში უფრო ადვილია. უმჯობესია იონჯის დათესვა სრულიად მარტო თორემ სხვა მცენარე ჩუწნს შემოდგომაზედ უნდა ადრე ისე რომ ყინვამდის მირი გაიდგას. აგრეთვე გაზაფხულზედ არ უნდა დაითესოს ადრე ამიტო რომ იონჯა ცივი დღებისაგან ფუჭდება.

იონჯა ითესება გაფანტული. ორ დღიურ ნახევარზედ საკმაოა ორი ფუთი თესლი, რომელიც რომ იყოს ეკთელი და მმიმე. დათესვის წინად ხნულს ჭვარცხვენ და დასთესენ რა კიდევ ფარცხვენ ამოსული მცენარე იონჯასთან მასუკან უნდა დაითოხნოს და იმ დრომდის მანამ იონჯა იმოდენი გაიზდება, რომ შეიძლება ნამგალით მოჭრა. თუ ერთხელ იონჯამ ფესვ გაიმაგრა, მაშინ გვალვის შიში აღარ აქვს ფესვის სიღრმის გამო, ნაცრის მოყრა არაფერს არა შველის მაგრამ ხშირი ფარცხვა მალიან შემატებას აძლევს. იონჯას სთიბენ ყვავილს რომ მოიყრის, მხოლოდ უკანასკნელ მოთიბვაზედკი აღარ უცდიან ყვავილს. მოთიბვა შეიძლება წლიწადში 2-5 ჯერ. პირველი ნათიბი უფრო ბევრია მეორეზედ. მეორე მესამეზედ ასე, რომ პირველად რომ მოთიბოთ 160 ფუთი, მეორე იმავ ზაფხულს 80 ფ. და თუ კარგი მოსავალი იქნება მესამე იქნება 60 ფ. ერთის სიტყვით კარგი მოსავალი იონჯისა დამოკიდებულია ყამირის სიღრმეზედ. სათესლეს მაშინ მოთიბვენ, როდესაც რომ ღეროები გაუშავდება.

იონჯის შემდგომ კარგათ ითესება პური და მირიანი მცენარე. იონჯის მოსავლისა და დიდიხნობის გამოღების მიზეზი არის 1 დედა მიწის განლევა, 2 დაგუბებული წყალი დედამიწაში (ჭაობიანი ალაგები არ ვარგა იონჯისათვს) 5, სხვა მცენარე.

Тифлисъ. Печатать позволяется. 6 Апреля 1862 года. Цен. Кайтмазовъ. რედ. კერესელიძე.